ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1570831

ნომერი: AR1261397

თარიღი : 28.10.2014

გაცემის თარიღი : 03.11.2014

გაცნობის თარიღი : 05.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მახათის მთა. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანატოლი ქავთარაძე პ/ნ 01024055914
- თბილისი საბურთალოს ქ. N 38 ბ. 24

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1261397 28.10.2014წ.განცხადება, რომელის პასუხადაც ერთხელ უკვე გეცნობათ, რომ მოცემულ ტერიტორიაზე სამსახურის მიერ ადმინისტრაციული შენობა–ნაგებობის განთავსებისთვის გაცემულია №180406_01.06.2012 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, იმ შემთხვევაში თუ არ იყენებთ №180406_01.06.2012 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს, შესაძლებელია მოთხოვნის ტექსტში დააფიქსიროთ, რომ გსურთ აღნიშნულის გაუქმება ან ამავე განაცხადზე შეცვალოთ ნომენკლატურა და საკითხი დააყენოთ №180406_01.06.2012 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის კუთხით (ახალი ობიექტის–სასტუმროს დამატებით);

ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად დამატებით წარმოსადგენი გაქვთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (შპს–ს შემთხვევაში პასუხისმგებლობაზე უფლებამოსილმა პირმა) ან ზემოაღნიშნული აქტის მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა. ასევე შესაძლებელია დააფიქსიროთ აღნიშნული პიროვნების მონაცემები ამავე განაცხადის თანაგანცხადებლის ველში.

ამასთან გაცნობებთ რომ სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში სასტუმროს განთავსება საჭიროებს სპეციალურ „ზონალურ“ შეთანხმებას, გამომდინარე აქედან მოთხოვნის დაზუსტების შემდგომ საკითხი განხილულ იქნება „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე“, რომლის რეკომენდაციითაც სამსახური მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge